N 131 13/05/2016

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2016 წლის 15 აპრილიდან 15 მაისის ჩათვლით კომისიამ ჩაატარა ორი სხდომა, აღნიშნული კომისიების სხდომის დროს განხილული იქნა სამი საკითხი.

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდამჭერი პროგრამით“ გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

მომხს: ტ.არაშიძე

თანამომხს: გ. აბაშმაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდამჭერი პროგრამით“ გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახართაღრიცხვო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

მომხს: ტ. არაშიძე

თანამომხს: გ.სკამკოჩაიშვილი

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

მომხს: ტ.არაშიძე

თანამომხს: ნ.თავდუმაძე

კომისიის წევრბემა პირველ და მეორე საკითხებთან დაკავშირებით მოისმინეს და გადაწყვიტეს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გ. აბაშმაძის და ა(ა).ი.პ - „კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი“-ს დირექტორის გ. სკამკოჩაიშვილის ინფორმაციები 2016 წელში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდამჭერი პროგრამით“ გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებელი, მათ შორის საპროექტო-სახართაღრიცხვო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ მიღებულ იქნას ცნობად.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან არსებულმა სატენდერო კომისიამ, ექსპერტების ჯგუფმა და გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურმა გაამკაცრონ კონტროლი მუნიციალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ხარისხსა და ვადებზე.

მესამე საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა მოისმინეს და განიხილეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინოვაციური

განვითარების მხარდაჭერის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ“ ინფორმაცია და გადაწყვიტეს:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ნ. თავდუმაძის ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.

ტარიელ არუშიძე



კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია